



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბრძანება**



KA010127259886318

02 / ოქტომბერი / 2018 წ.  
# 1029/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს  
მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული  
რესურსის I, II, III და IV ხარისხის (წიფელის ჭიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი)-სულ  
- 65.10 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N319)  
გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული  
„ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და  
ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით  
დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების  
მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო  
ექსპერტის ეროვნული ბიურის 2018 წლის 15 იანვრის დასკვნის N5000210818, 2018 წლის 5  
ექტემბრის N883/ს ბრძანების და კანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 01  
ოქტომბრის N08/36584 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N319 კანეთის სატყეო სამსახურის მართვას  
დაქვემდებარებულ ყვარელი-ლაგოდების სატყეო უბანი ფონას სატყეო N21 კვარტალში  
სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 65,10 მ<sup>3</sup> ფოთლოვანი სახეობის (წიფელის) I, II, III  
და IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან  
დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-  
მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-  
ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს  
(გ. საბეიშვილი) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“,  
ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს  
(ბ. კირმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge)  
ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს  
დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #6)  
კანონმდებლობით დადგენილი წესით.